პროექტი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სს სარაჯიშვილი-ს წესდებაში, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 10.01.2025 წლის N: B25001325/3 გადაწყვეტილებით, შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

მუხლი 1

წესდების 1.8 პუნქტის სიტყვებს: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" დაემატოს სიტყვები: „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ".

მუხლი 2

წესდების 1.15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
1.15 ამ გადაწყვეტილებით იცვლება სარაჯიშვილის აქციონერთა 26.12.2024 წლის N:50 საოქმო გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესდება, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 10.01.2025 წლის N:B 25001325/3 გადაწყვეტილებით.

მუხლი 3

წესდების მუხლი 4-ის დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
მუხლი 4. ქონება, მოგება, ფონდები, დივიდენდის გაცემის წესი

წესდების მუხლი 4-ს დაემატოს 4.15 და 4.16 პუნქტები შემდეგი რედაქციით:
4.15 დივიდენდის გადახდის (მათ შორის, დივიდენდის მოცულობისა და თითოეული სახის აქციაზე დივიდენდის გაცემის ფორმის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.
4.16 „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 181-ე მუხლის პირობების დაცვით, საზოგადოების 0,05 პროცენტამდე აქციების მფლობელებზე დივიდენდების გადახდის ვადა, მათი ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია მოხდეს დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში, წლიური დივიდენდების სრული მოცულობით.
საზოგადოების 5 % პროცენტზე ზევით აქციების მფლობელებზე დივიდენდების გადახდა იწყება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ვადების სრული დაცვით, აქციონერთა 0,05 % პროცენტამდე მფლობელებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ.

მუხლი 4

წესდების 10.1 პუნქტის სიტყვებს: სულ განთავსებულია 1 813 667 ცალი ჩვეულებრივი აქცია დაემატოს სიტყვები: "რომლებიც დემატერიალიზებულია"

მუხლი 5

წესდების 13.2 პუნქტში ციფრი 4 შეიცვალოს ციფრი 5-ით.

მუხლი 6

წესდების 25.2 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

25.2 ამ წესდების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 10.01.2025 წლის N:B25001325/3 გადაწყვეტილებით რეგისტრირებული წესდება.

საზოგადოების აქციონერთა საერთო
კრების თავმჯდომარე, სამეთვალყურეო
საბჭოს თავმჯდომარე (ე.ბუბუტეიშვილი)